

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №342

2013 წლის 17 დეკემბერი

ქ.თბილისი

ენერგომომმარაგებელი საწარმოების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მომსახურებისას უსაფრთხოების ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ენერგომომმარაგებელი საწარმოების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მომსახურებისას უსაფრთხოების ზოგადი წესები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი

ენერგომომმარაგებელი საწარმოების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური

მოწყობილობების მომსახურებისას უსაფრთხოების ზოგადი წესები

თავი I

ზოგადი დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. უსაფრთხოების წესები ენერგომომმარაგებელი საწარმოების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მომსახურებისას (შემდგომში – წესები) მოიცავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამუშაოთა შესრულებისას მოქმედი და სარეკონსტრუქციო ელექტროსადგურების ჰიდრომექანიკური მოწყობილობების, სადაწნეო მილსადენების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობილობების ექსპლუატაციის, შეკეთების, გაწყობის და გამოცდის დროს.

2. ყველა საწარმო უფლებამოსილია აწარმოოს შესაბამისი საქმიანობა ისეთი უსაფრთხოების სისტემის გამოყენებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესებს.

მუხლი 2. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე წესები სავალდებულოა იმ პირთათვის, რომლებიც დაკავებული არიან მოქმედი და სარეკონსტრუქციო ენერგობიექტების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების პროექტირებით, მშენებლობით, ექსპლუატაციით, რეკონსტრუქციით, შეკეთებით, გაწყობითა და გამოცდით.

2. ენერგომომმარაგებელი საწარმოების (შემდგომში – საწარმოები) ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების პროექტირება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება და ექსპლუატაციის ორგანიზაცია, ტერიტორია და აკვატორია, სადაც განლაგებულია ისინი, ასევე ძირითადი და



დამხმარე მოწყობილობა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

3. ელექტრომოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს ელექტროდანადგართა მოწყობის შესაბამის წესებს, ხოლო მათი ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს ელექტროსადგურებისა და ქსელების ექსპლუატაციის შესაბამისი წესების მოთხოვნების მიხედვით.

4. საწარმოების ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს მუშა-მოსამსახურეთათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები.

5. ენერგომომმარაგებელი საწარმოების პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა, ადგილობრივი გარემო პირობების გათვალისწინებით.

6. მუშაობის დროს ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების, სამარჯვების, ხელსაწყოებისა და დამცავი საშუალებების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტების მოთხოვნებს, მათ მიმართ ტექნიკურ მოთხოვნებს და ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციებს.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. აკვედუკი – ხიდი – წყალსატარი.

2. ბიეფი – კაშხალთან მიერთებული მდინარის ან არხის უბანი.

3. გაზსაშიში ადგილი – შენობები, ნაგებობები, ტერიტორიის უბნები, მოცულობები, არეები, არხები, ჭები, შახტები და ა.შ., სადაც სამუშაო ზონის ჰაერში შესაძლებელია მავნე და ფეთქებადსაშიში გაზების კონცენტრაცია ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე მეტად ან არასაკმარისია ჟანგბადის შემცველობა.

4. ჰიდრომექანიკური მოწყობილობა – მოწყობილობა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში წყლის მოძრაობის მართვისათვის.

5. ჰიდროტექნიკური ნაგებობა – ინჟინრული ნაგებობა წყლის რესურსების გამოყენებისათვის.

6. დიუკერი – მდინარის ან არხის კალაპოტის ქვეშ გაყვანილი სადაწნეო წყალსატარი.

7. მბრუნავი მექანიზმები – ტუმბოები, ვენტილატორები, მბრუნავი ბადეები და სხვა მექანიზმები ელექტრო ან სხვა ამძრავით.

8. მიწისქვეშა ნაგებობა – გრუნტის ზედაპირის ქვემოთ, მიწაში განლაგებული არხები, კოლექტორები, წყალსატარები, კამერები, შახტები, გვირაბები და ჭები.

9. პატერნა – გრძივი გალერეა, წნევის ქვეშ მყოფი ბეტონისა და რკინაბეტონის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში. განკუთვნილია სადრენაჟო სისტემის მიერ ნაგებობის საძირკველიდან და ტანიდან შეკრებილი წყლის გაყვანისათვის (მოცილებისათვის).

10. გაზსაშიში სამუშაო – სამუშაო, რომელიც ტარდება დაგაზიანებულ გარემოში ან რომლის წარმოებისას შესაძლებელია გაზის გაჟონვა.

11. ტექნიკური მომსახურება – ექსპლუატაციის პროცესში მოწყობილობათა მუშაობის გამართულობის შესანარჩუნებელ სამუშაოთა კომპლექსი.

12. ტორკრეტირება – შეკუმშული ჰაერით, ცემენტსატყორცნით, მაღალი სიმკვრივისა და წყალგაუმტარობის ტორკრეტობეტონის დატანა.

13. თოში – ზედაპირზე ამოტივტივებული ან ნაკადის სიღრმეში ჩატანილი წყალშიგა ყინულის ერთობლიობა.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები პერსონალის მიმართ

1. იმ პერსონალს, რომელიც ახორციელებს ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციას, შეკეთებას, დაკავებულია მათი გაწყობით და გამოცდით, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა.



2. პერსონალი, რომელიც ემსახურება ავტომატიკის, გაზომვებისა და დაცვების მოწყობილობების ელექტრულ ნაწილს, უნდა ხელმძღვანელობდეს წინამდებარე წესებითა და ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესებით.

3. პერსონალმა, რომელიც დაშვებულია სამუშაოდ შენობაში, სადაც გამოიყენება წვადი, ტოქსიკური და ფეთქებასაშიში მასალები, უნდა იცოდეს ამ მასალების თვისებები და მათთან მოპყრობის და უსაფრთხოების ზომები.

4. მომსახურე პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იმგვარად, რომ სპეცტანსაცმელი არ უნდა ქმნიდეს მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანების რისკებს.

5. საწარმოს ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს სპეცტანსაცმლის სავალდებულობისა და უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია სხვადასხვა საშიში სამუშაოების შესაბამისად და უზრუნველყოს პერსონალის მიერ მათი ცოდნა.

თავი II

უსაფრთხოების საერთო წესები

მუხლი 5. ტერიტორია, აკვატორია, შენობები და სამუშაო ადგილები

1. ყოველ საწარმოში (ჰიდროელექტროსადგური, თბოელექტროსადგური, ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური და ა.შ.) ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს ავარიის ლიკვიდაციისა და ევაკუაციის გეგმა და უზრუნველყოს მისი გაცნობა და შესაბამისი ინსტრუქტაჟის პერიოდული ჩატარება მომსახურე პერსონალისათვის.

2. ყოველ ენერგომომმარაგებელ საწარმოში (ჰიდროელექტროსადგური, თბოელექტროსადგური, ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური და ა.შ.) ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები; საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შექმნან საჭირო ძალები და საშუალებები, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს უზრუნველყონ მათი მზადყოფნა; შეატყობინონ საგანგებო სიტუაციების საფრთხის შესახებ საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის ამოცანების გადასაწყვეტად შესაბამის სპეციალურ უფლებამოსილ ორგანოს; აწარმოონ საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების დეკლარაცია და უზრუნველყონ საწარმოს ფუნქციონირება ამ დეკლარაციით გათვალისწინებული ამოცანების გადასაჭრელად; უზრუნველყონ პერსონალისათვის გეგმური ტრენინგების ჩატარება შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის საკითხებზე; ასევე უზრუნველყონ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა და შესაბამისი ინსტრუქტაჟის პერიოდული ჩატარება მომსახურე პერსონალისათვის.

3. საწარმოების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მოწყობილობების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის და პერსონალის მიერ დამცავი სამარჯვების, სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენების სისტემატური კონტროლი.

4. გზები, ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი როგორც საწარმოს შენობებში, ასევე მის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა იყოს განათებული, თავისუფალი და უსაფრთხო მოსიარულეთათვის და სატრანსპორტო საშუალებებისათვის. საავტომობილო გზებზე დაყენებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სტანდარტის გოსტ 10708-78 „საგზაო ნიშნები. საერთო ტექნიკური პირობები“ შესაბამისად.

5. გადახურვები სართულებს შორის, იატაკები, არხები და ლიუკები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. იატაკზე ყველა ჭრილი უნდა იყოს შემოღობილი. ჭის სახურავები, კამერებისა და არხების გადახურვები შესრულებული უნდა იყოს მტკიცე და გადაადგილებისათვის უსაფრთხო ფოლადისაგან, იატაკის ან მიწის პირზე და მყარად უნდა იქნეს დამაგრებული.

6. გადახურვების ჭრილები, ლუქებახდილი ჭები, თავდია არხები, ქვაბულები, თბური კამერები და სხვა სახიფათო ზონები შემოღობილი უნდა იქნეს მთლიანად პერიმეტრის გარშემო. დროებითი შემოღობვის ელემენტები მჭიდროდ უნდა იქნეს დამაგრებული. ღობეები უნდა იყოს მყარი და უძლებდეს ადამიანის მასის ზემოქმედებას. კარგად უნდა ჩანდეს დღე-ღამის ნებისმიერ დროს. შემოღობვებზე გაკრული უნდა იყოს



გამაფრთხილებელი ნიშნები.

7. სიღრმეში განთავსებული სათავსოების (დროსელური საკეტების, ამოსატუმბი ტუმბოების შენობები და სხვა) იატაკის ზედაპირიდან წყლის მოსაცილებელი საწრეტები და არხები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და უზრუნველყოფდეს წყლის სრულ გაყვანას.

8. კლდეებში გაჭრილი გზის მონაკვეთები ან ადგილები, სადაც შესაძლებელია ქანების ჩამოშლა, დაცული უნდა იქნეს სპეციალური შემოღობვებით. სატრანსპორტო გვირაბები უნდა იყოს საკმაოდ განათებული, აღჭურვილი საგზაო ნიშნებით სატრანსპორტო საშუალებათა დასაშვები გაბარიტების მითითებით და აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ხელოვნური ვენტილაციით.

9. სათავო კვანძის ყველა შემტბორ ნაგებობებზე, ელექტროსადგურის ტერიტორიის ფარგლებში წყალსაცავის ციცაბო ნაპირების, სალექარებისა და სადაწნეო აუზების გასწვრივ, ღია წყალსაგდების სათავე ნაგებობების უბნებზე, გვირაბების შესასვლელ და გამოსასვლელ პორტალებსა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სხვა უბნებზე, ასევე ტრანშეები და ქვაბულები, სადაც მუშაობს მორიგე ან სარემონტო პერსონალი, მოწყობილი უნდა იქნეს შემოღობვა. შემოღობვა აუცილებლად უნდა აღიჭურვოს გამაფრთხილებელი წარწერებით, უსაფრთხოების ნიშნებით, ასევე სასიგნალო განათებებით, რომელიც უზრუნველყოფს დღე-ღამის ბნელ პერიოდში შემოღობვის კარგ ხილვადობას ავტოტრანსპორტისა და ადამიანების შესაძლო გადაადგილების მხრიდან.

10. ყველა ჰიდროტექნიკური ნაგებობის უბანზე (სადაც ეს მოითხოვება სამუშაო პირობებიდან გამომდინარე) მანქანებსა და მექანიზმებთან და სხვა სახიფათო ადგილებში გამოკიდებული უნდა იქნეს კარგად ხილვადი, ხოლო დღე-ღამის ბნელ პერიოდში განათებული გამაფრთხილებელი წარწერები, უსაფრთხოების ნიშნები და პლაკატები.

11. ნესტიან შენობებსა და სათავსოებში – პატერნებში, შახტებში, კამერებში, ჭებში და სხვა, ელექტროგანათება უნდა შესრულდეს ელექტროდანადგარების მოწყობის წესების შესაბამისად. შენობის გასანათებლად, რომელშიც შესაძლებელია წვადი გაზების მოხვედრა, გამოყენებული უნდა იქნეს აფეთქებასაშიში ზონის შესაბამისი აფეთქებადაცვითი დონის სანათი ხელსაწყოები.

12. სავენტილაციო სისტემები, ჰაერის კონდიცირება, ვენტილაცია, კონდიცირებისა და გათბობის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია უნდა შეესაბამებოდეს ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციების მოთხოვნებს.

13. ქიმიური მასალები, რომლებიც შეიცავს ადვილად აალებად, ფეთქებადსაშიშ და ტოქსიკურ კომპონენტებს, უნდა ინახებოდეს სხვა შენობებისაგან იზოლირებულ, სპეციალურ, შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საწყობებში.

14. საწარმოო შენობებში აკრძალულია ბენზინის, ნავთის, სპირტის, საღებავების, გამხსნელების და სხვა ადვილად აალებადი მასალების შენახვა. მასალები უნდა ინახებოდეს სპეციალურ საწყობებში, რომელთა კარებზე უნდა იყოს თამბაქოს მოწევისა და ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი უსაფრთხოების ნიშნები.

15. მცირე რაოდენობის (2-3 ლიტრამდე) ტუტეები და მჟავები, (ფლუორმჟავას გარდა) აუცილებლად უნდა ინახებოდეს ვენტილირებულ ცალკე შენობებში, ფლუორმჟავა უნდა ინახებოდეს დაზიანებისაგან დაცულ ჭურჭელში.

16. ელექტროსადგურების საამქროებში გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტროშედულების დანადგარების დადგმისათვის ადგილები, ასევე უნდა იყოს განშტოებები ცენტრალიზებული აირშედულებითი სამუშაოების ჩასატარებლად.

17. საწარმო შენობებში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ უნდა აჭარბებდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

18. საკომპრესორო დანადგარებისა და ჰაერის მილსადენების ექსპლუატაცია და შეკეთება უნდა წარმოებდეს შესაბამისი წესების თანახმად.

19. საწარმოებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესების მოთხოვნებს.

20. საწარმოს უნდა გააჩნდეს პირველადი დახმარების საშუალებები.



მუხლი 6. მოწყობილობათა მომსახურება

1. აკრძალულია გაუმართავი დანადგარების ექსპლუატაცია ან მათი ექსპლუატაცია გაუმართავი ავარიული გამორთვის მოწყობილობით, ასევე მოწყობილობების ექსპლუატაცია გაუმართავი სიგნალიზაციით, ბლოკირებისა და დაცვის მოწყობილობებით, რომლებიც შეიძლება გახდნენ უბედური შემთხვევის ან ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი.
2. საწარმოო მოწყობილობათა მბრუნავი ნაწილები, რომლებთანაც შეიძლება შეხება მოუწიოთ მომსახურე პერსონალს, აღჭურვილი უნდა იყოს დაცვის მექანიკური საშუალებებითა და შემოღობვებით. აუცილებლობის შემთხვევაში ისინი ბლოკირებული უნდა იყოს მანქანებისა და მექანიზმების ამძრავებთან (შემოღობვის მოხსნის და კარებისა და ხუფების გაღების შემთხვევაში).
3. მოწყობილობათა სარემონტო სამუშაოები, ასევე სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია მის დემონტაჟთან და მონტაჟთან, უნდა შესრულდეს სამუშაოთა წარმოების პროექტით ან ტექნოლოგიური დოკუმენტაციით (ტექნოლოგიური რუკებით და ინსტრუქციებით), რომელიც შეიცავს უსაფრთხოების კონკრეტულ მოთხოვნებს სამუშაოს მომზადებისა და მისი შესრულების პროცესში.
4. სარემონტო სამუშაოების წარმოებისას, ტექნოლოგიური მოწყობილობებით, დეტალების გარეცხვისა და გაუცხიმოვნებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ხანძარუსაფრთხო სარეცხი საშუალებები.
5. გარეცხვისა და გაუცხიმოვნების დაწყებამდე, ტევადობებში და მათ შიგნით ანტიკოროზიული სამუშაოების დაწყებამდე, განათებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს უსაფრთხო ძაბვის ან სხვა შესაბამისი აფეთქებაუსაფრთხო შესრულების სანათი ხელსაწყოები. დაუშვებელია ტევადობებში ადამიანებისათვის განკუთვნილი საძრომელებიდან კაბელების (სადენების) გატარება ან სხვა მასალების მიწოდება.
6. მოწყობილობათა მომსახურებისას ადგილებში, სადაც არ არის მოწყობილი სტაციონარული განათება, გამოყენებული უნდა იქნეს გადასატანი (ხელის) ელექტროსანათები.
7. ხელით გადასატანი სანათი ხელსაწყოები უნდა იკვებებოდეს არაუმეტეს 42ვ ძაბვის ქსელიდან. იმ ადგილებში, სადაც მომეტებულია ტენიანობა, მტვრიანობა, მეტალის დამიწებულ ზედაპირებთან შეხების შესაძლებლობა და შექმნილია ელექტროდენით დაზიანების გაზრდილი საფრთხეები, სანათი მოწყობილობები უნდა იკვებებოდეს არაუმეტეს 12 ვ ძაბვის ქსელისაგან.

თავი III

მოთხოვნები უსაფრთხოებაზე ცალკეული სახეობის სამუშაოების შესრულებისას

მუხლი 7. მოწყობილობათა დეფექტოსკოპია

დეფექტოსკოპიის ყველა სამუშაო, რომელთა შესრულებისას გამოიყენება ხელსაწყოები მაიონიზირებული გამოსხივების წყაროებით, უნდა წარმოებდეს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოები მიწისქვეშა ნაგებობებში, რეზერვუარებში, შურფებში და მილსადენებში. გაზსაშიში სამუშაოები

1. მიწისქვეშა ნაგებობებში და რეზერვუარებში მუშაობა აკრძალულია, თუ მასში წყლის დონე ძირიდან აღემატება 200 მმ-ს და ტემპერატურა 45 °C-ს. აკრძალულია სამუშაოების შესრულება ორთქლით შევსებულ მიწისქვეშა ნაგებობებში ან სარდაფებში მასში ჰაერის ტემპერატურის სიდიდის მიუხედავად.
2. გაზსაშიში სამუშაოების შესრულების დროს ასევე დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:
 - ა) გადასატან სანათებად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ აფეთქებაუსაფრთხო არა უმეტეს 12 ვ ძაბვის სანათები. აკრძალულია სანათების ჩართვა და გამორთვა გაზსაშიშ ადგილებში, ასევე ღია ცეცხლის გამოყენება განათებისათვის;
 - ბ) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი ხელსაწყოები და სამარჯვები, რომლებიც გამორიცხავენ ნაპერწკლის წარმოქმნას.



მუხლი 9. ტორკრეტირების, საცემენტაციო და ბეტონის სამუშაოები

გვირაბებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების ზედაპირების ტორკრეტირება სამაგრის მიღმა ქანების მასივში ცემენტის დუღაბის დაჭირხვნა უნდა მოხდეს სპეციალური მექანიზმებით და მათი საქარხნო ინსტრუქციების მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 10. საიზოლაციო სამუშაოები

1. საიზოლაციო სამუშაოები მოწყობილობებსა და კონსტრუქციებზე წინამდებარე წესების მოთხოვნების გარდა უნდა სრულდებოდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სტანდარტების: გოსტ 12.3.016-87 „შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა. მშენებლობა. ანტიკოროზიული სამუშაოები. უსაფრთხოების მოთხოვნები“, გოსტ 12.3.038-85 „შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა. მშენებლობა. მოწყობილობებისა და მილსადენების თბური იზოლაციის სამუშაოები. უსაფრთხოების მოთხოვნები“, და გოსტ 12.3.040-86 „შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა. მშენებლობა. გადახურვისა და ჰიდროიზოლაციის სამუშაოები. უსაფრთხოების მოთხოვნები“ მიხედვით, ან „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილებით აღიარებული ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი და საქართველოს სავაჭრო ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების შესაბამისად.

2. გამოყენებული მასალები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ მოთხოვნებს და გამოყენებული უნდა იქნეს ინსტრუქციების შესაბამისად.

3. მილსადენებზე, აპარატებსა და დახურულ შენობებში, სადაც შესაძლებელია მავნე ნივთიერებების, ხანძარ და აფეთქებასაშიში ორთქლისა და აეროზოლის გამოყოფა, საიზოლაციო სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული უნდა იქნეს მომდენ-გამწოვი ვენტილაცია, ასევე გადასატანი ხელის სანათი ხელსაწყოები 12 ვ ძაბვაზე აფეთქებაუსაფრთხო შესრულებით.

მუხლი 11. ზედაპირების გაწმენდა და სამღებრო სამუშაოები

1. მეტალოკონსტრუქციებისა და მოწყობილობების ზედაპირები ძველი საღებავებისაგან და ჟანგისაგან უნდა გაიწმინდოს უსაფრთხო მეთოდითა და საშუალებებით.

2. საღებავებს, ემალებს, ლაქებს, გამხსნელებს, განმაზავებლებს და გამმყარებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები. ჭურჭელი, რომელშიც ინახება ლაქსაღებავები, გამხსნელები, განმაზავებლები უნდა ჰქონდეთ ეტიკეტები ან საჭდეები მათი ზუსტი დასახელებითა და აღნიშვნებით, ხოლო ტყვიის ან სხვა განსაკუთრებით მაღალი საფრთხის შემცველი მასალების არსებობის შემთხვევაში – მითითება ამის შესახებ.

3. გამოყენებული საღებავების შემადგენლობისა და შენობის მოცულობის მიხედვით, შეღებვითი სამუშაოები უნდა შესრულდეს ინდივიდუალური საშუალებებით (აერწინალებით, რესპირატორებით, სკაფანდრებით, დამცავი სათვალეებით, სპეციალური სახელოებითა და ხელთათმანებით და სხვა, ასევე სპეციალური პასტებითა და საცხებით).

4. შენობის შიგნით და დახურულ რეზერვუარებში მავნე ნივთიერებების გამოყოფით შეღებვითი სამუშაოების წარმოება უნდა შესრულდეს მომდენ-გამწოვი ვენტილაციის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შენარჩუნებას დასაშვებ ზღვრებში.

თავი IV

წყლის მეურნეობის მომსახურება

მუხლი 12. უსაფრთხოების ზომები წყლის გადასასვლელებზე გადასვლისას და მასალების ტრანსპორტირებისას

1. წყლის გადასასვლელებზე გადასვლისას და მასალების ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მოთხოვნები.

2. წყალსაცავებზე დაუშვებელია ნაგებობა და პონტონებით ცურვა და სამუშაოთა წარმოება ოთხ ბალზე მეტი ქარის სიჩქარის (5,3-7,4 მ/წმ) დროს და სამდინარო კატარლებით 5 ბალზე მეტი ქარის სიჩქარის (7,5-9,8 მ/წმ) დროს.



მუხლი 13. ტივტივა ნაგებობების მომსახურება

1. მომსახურებისათვის სახიფათო ადგილები უნდა იყოს შემოღობილი და აღჭურვილი უსაფრთხოების პლაკატებითა და სიგნალიზაციით.
2. წყალსაცავებზე უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნები და წარწერები უნდა განთავსდეს პროექტით განსაზღვრული აკრძალული ზონის ფარგლებში. აკრძალული ზონის საზღვრებზე დაყენებული უნდა იქნეს პლაკატები ან ტაბლო წარწერით „აკრძალული ზონა“. გათვალისწინებული უნდა იქნეს სრული განათება და ავტომატიზებული ხმოვანი სიგნალიზაცია.

დერივაციული ჰიდროელექტროსადგურის ზედა ბიეფის ყველა უბანი ცურვისათვის ითვლება აკრძალულ ზონად.

3. გამდინარე (წყლის ნაკადზე) წყალზე მუშაობისას მიღებული უნდა იქნეს უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გამორიცხავს ხალხის წყალში გადავარდნას. აუცილებლობის შემთხვევაში, ღამის საათებში მუშაობისას მიღებული უნდა იქნეს უსაფრთხოების დამატებითი ზომები.

მუხლი 14. ყინულის გადასასვლელები. გადაადგილება ყინულზე და მასზე მუშაობა

1. სამუშაო ადგილზე მისასვლელად ან დაკვირვებისათვის, ყინულზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მასზე მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობის შემდეგ. დაუშვებელია ყინულზე გადაადგილება, თუ იგი იმყოფება დამკრის (მოწყვეტის) სტადიაში.
2. ხერგილების ლიკვიდაციისათვის საამფეთქებლო და სხვა სამუშაოების წარმოება ზედა ბიეფში უნდა წარმოებდეს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით დამტკიცებული „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“ და სპეციალური ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 15. სამუშაოები ნაგებობების ნაგვისაგან გაწმენდისათვის

1. წყალმიმღები მოწყობილობების ნაგავდამჭერი გისოსების ნაგვისაგან გაწმენდა უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად.
2. ელექტროგამათბობლებით აღჭურვილი ნაგავდამჭერი გისოსების გაწმენდის შემთხვევაში ისინი უნდა იქნეს დამიწებული.

მუხლი 16. წყალმოვარდნის გაშვება ნაგებობიდან

1. წყალმოვარდნის პერიოდში სამუშაოები ნაგებობებზე უნდა წარიმართოს დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით.
2. წყალმოვარდნის გატარებისას, სახიფათო ზონა წყალსაცავზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, განსაზღვრული უნდა იქნეს ორგანიზაციის მიერ და დაფიქსირდეს გამაფრთხილებელი ნიშნებით ან პლაკატებით.
3. მცირე ზომის წყალსაცავებზე, გადაუღებელი წვიმების შედეგად წყალმოვარდნის საშიშროებისას პერსონალის გაფრთხილება უნდა მოხდეს დროულად, სირენის სიგნალის გამოყენებით. ყველა სამუშაოები კაშხლის ზედა და ქვედა ბიეფებში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და პერსონალი გაყვანილ იქნეს სახიფათო ზონიდან.
4. წყალმოვარდნის გატარებისას სამაშველო საქმიანობისთვის მცურავი საშუალებები (კატარლები, მოტორიანი ნავები და სხვა) უნდა იქნეს მუშა მდგომარეობაში.

მუხლი 17. წყალსაცავისა და ბიეფის დაცლა და ავსება

1. წყლის დონის მომატების შესახებ კაშხლის ქვემოთ განთავსებული მოსახლეობის გაფრთხილების მიზნით წყალსაცავის დაცლის ვადა უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან. ჰიდროტექნიკური კვანძების დასახლებული პუნქტების ფარგლებში განთავსებისას საკეტების გაღებამდე მიცემული უნდა იქნეს ხმოვანი სიგნალი.



2. წყალსაცავის შევსების გრაფიკი და წყლის დონის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა უნდა ეცნობოს ზემოთ განლაგებული დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციას.

3. ნაგებობების სათავე კვანძიდან წყლის ავარიული გაშვებისას აუცილებელია წინასწარ მიღებულ იქნეს ზომები მოსახლეობის და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებისა და ქონების დასაცავად.

მუხლი 18. წყალსაცავის გაწმენდა ნატანისაგან

1. წყლის დონის აწევითა და დაცლით წყალსაცავის პერიოდულად გაწმენდისას, ნატანის სიმკვრივის ხარისხის მიუხედავად, დაუშვებელია ნატანის კიდესთან საშიშ მანძილზე მიახლოება.

2. წყალსაცავის გაწმენდისას წყლის დონის დაწევისა და დანალექი ნატანის გაშიშვლებისას მასზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მყარად მოწყობილ ფიცარნაგებზე. თუ დანალექები არასაკმარისად მკვრივია, მასზე გადაადგილებისას გამოყენებული უნდა იქნეს დამზღვევი ბაგირები.

3. აუზებიდან და წყალსაცავებიდან ნატანების მოცილება ჰიდრომექანიზაციის საშუალებით დასაშვებია მხოლოდ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტის არსებობისას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოთა წარმოების მიმდევრობა და აუცილებელი საშუალებები მისი უსაფრთხოდ შესრულებისათვის.

4. წყალსაცავის ნატანისაგან გაწმენდა მიწის ჭურვებისა და ჰიდრომონიტორების გამოყენებით უნდა მოხდეს უსაფრთხოების წესების დაცვით.

ჰიდრომონიტორის სამუშაო ზონა, ჭავლის მოქმედების ერთნახევარი სიშორის ფარგლებში, ასევე გრუნტის შესაძლო ჩამონგრევის საზღვარი უნდა იყოს შემოღობილი გამაფრთხილებელი ნიშნებით (პლაკატებით).

მუხლი 19. გაზომვითი სამუშაოები

1. წყალსაცავებში სიღრმის გაზომვა უნდა მოხდეს წყალსაცავში წყლის დონის ისეთი მნიშვნელობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვის სამუშაოების უსაფრთხოებას.

2. სიღრმის გასაზომად აკუსტიკური საშუალებების გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციების მოთხოვნები.

თავი V

ჰიდრონაგებობების მომსახურება

მუხლი 20. უსაფრთხოების ზომები ჰიდრონაგებობების მომსახურებისას

1. ბურჯებისა და სამომსახურეო ხიდების მოაჯირებზე, მათი შიდა მხრიდან, ადვილად მისაწვდომ ადგილებში კაკვებზე დაკიდებული უნდა იქნეს ბარჯები ან თოკები და სხვა საშუალებები, წყლის ზედაპირამდე მანძილის მიხედვით და სამაშველო რგოლები.

2. დაუშვებელია პერსონალის ახლო მანძილზე ყოფნა სიფონის ღია ლიუკთან ან ურდულთან მისი მუშაობის დროს.

3. კაშხალზე წყალგაშვების სამუშაოების შესრულებისას მომუშავეები აღჭურვილნი უნდა იყვნენ დამცავი საშუალებებით (სამაშველო ჟილეტებით, თოკებით და ა.შ.) და სპეცტანსაცმლით.

4. სამუშაოები კაშხლის ვერტიკალური წახნაგების, რაბების კამერების, ჩამკეტების, სარემონტო ღობურების, ასევე ხიდურა გადასასვლელების მეტალოკონსტრუქციების მალური ნაგებობების, ამწემანქანების ქვეშ საყრდენი კონსტრუქციების და ა.შ. შეკეთებისათვის, რომლებიც განლაგებულია სიმაღლეზე, უნდა წარმოებდეს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.

5. არხის ქანობის გასწვრივ გამავალი საერთო დანიშნულების სასიარულო გზა უნდა იყოს შემოღობილი.

6. ზედა და ქვედა ბიეფების მხარეს, მიწის ნაგებობების ბეტონის ფერდობების სიახლოვეს, წყლის დონის ცვალებადობის ზონაში, უნდა იყოს გამაფრთხილებელი წარწერები ბეტონის სრიალა ზედაპირზე ხალხის



ყოფნის საშიშროების შესახებ.

7. არხის, გვირაბის, დიუკერის, აკვედუკის ან აუზის შევსება უნდა წარმოებდეს სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

8. დერივაციის დაცლისას ან ავსებისას, გვირაბების, დიუკერებისა და აკვედუკების შესასვლელებთან მოწყობილი უნდა იქნეს ნაგებობებში შესასვლელი ჩამკეტების მდგომარეობაზე სადამკვირვებლო პოსტები.

9. უდაწნეო გვირაბების პონტონებით შეკეთებისას ის მყარად უნდა იყოს დამაგრებული და ჰქონდეს მოაჯირებიანი შემოღობვა. სამუშაოები უნდა იწარმოოს მომუშავეთათვის გვირაბში წყლის დონის უსაფრთხო ცვალებადობის და სამაშველო საშუალებათა არსებობის შემთხვევაში.

10. დაცლილი გამთანებრებული რეზერვუარის დათვალიერება და შეკეთება უნდა იწარმოოს წრიული საკიდი ხარაჩოებიდან და კალათებიდან, დამცავი ქამრებისა და დამზღვევი ბაგირების გამოყენებით.

11. ჰიდრონაგებობებისა და ბიფეების ნაპირების ვიზუალური და ინსტრუმენტული დაკვირვება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა შესრულდეს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად.

12. გეოდეზიური სამუშაოები უნდა იწარმოოს გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ტექნიკის შესაბამისად.

13. ელექტრული ველის მოქმედების ზონაში განთავსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მომსახურებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების დაცვის დარგობრივი ნორმები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას.

მუხლი 21. უსაფრთხოების ზომები ზამთრის პერიოდში

1. ზამთრის პერიოდში არხის გასწვრივ გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ კიდიდან უსაფრთხო მანძილის დაცვით.

2. არხებში, გვირაბებში და სწრაფდენებში თოშის საცობების გაწმენდა უნდა წარმოებდეს ინსტრუქციების შესაბამისად.

3. სამომსახურეო ხიდები, კიბეები და ფიცარნაგები, ასევე ადგილები, სადაც პერსონალი გადაადგილდება, უნდა იყოს მოწყობილი უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

4. კაშხლის საკეტებზე ყინულის შემოტეხვისას ან წყალსაგდებების, გადამშვები არხების, სიღრმული წყალსაგდებების ხვრეტების კედლების გაწმენდა ყინულისაგან უნდა განხორციელდეს დამცავი საშუალებების გამოყენებით. ხარაჩოების, ფიცარნაგებისა და კალათების ნაფენები უნდა გაიწმინდოს თოვლისაგან და ყინულისაგან.

5. ცხელი წყლის გამოყენებით დანაყინების მოცილებისას აუცილებელია მიღებულ იქნეს უსაფრთხოების ზომები პერსონალის ტრავმირების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 22. მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურების მომსახურება

1. ყველა მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებზე და გადაკვეთებზე, ასევე შენობიდან გამოსასვლელებზე დაყენებული უნდა იქნეს მნათი საღებავებით შეღებილი ან განათებული ტაბლოები მიწის ზედაპირზე გამოსასვლელის მიმართულებისა და მანძილის ჩვენებით.

2. ჰიდროელექტროსადგურებში ორგანიზებული უნდა იყოს მიწისქვეშა ნაგებობებში მყოფი და მათგან გამოსული ყველა პირის ზუსტი აღრიცხვა. აღრიცხვის რიგს ადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ექსკურსიაზე მყოფნი და სხვა პირები, რომელთაც არა აქვთ კავშირი სამუშაო პროცესებთან, ობიექტზე დაიშვება მხოლოდ ხელმძღვანელობის ნებართვით და სპეციალურად დანიშნული პირის თანხლებით.

3. ჰიდროელექტროსადგურებში უნდა ინახებოდეს საწარმოოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი ოდენობის სამაშველო საშუალებები (თვითმამშველები).



4. პირები, რომლებიც იმყოფებიან მიწისქვეშა ნაგებობებში, აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური განათების საშუალებებით.

5. ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამონამუშევრები უნდა იქნეს გამოკვლეული. გამოკვლევის პერიოდულობას განსაზღვრავს წარმოების ხელმძღვანელი.

6. ყველა სამუშაო ადგილზე პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს ჰაერის შემადგენლობა მავნე და სახიფათო გაზების არარსებობისა და ჟანგბადის საკმარისობაზე.

7. მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურების მიწისქვეშა სამთო გვირაბების და ნაგებობების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 23. სამყვინთაო სამუშაოები

1. სამყვინთაო სამუშაოები ორგანიზაციებში უნდა შესრულდეს სამყვინთაო სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების წესების მოთხოვნების შესაბამისად.

2. სამყვინთაო სამუშაოებზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

3. ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან სახიფათო ზონების საზღვრები, რომლების ფარგლებშიც სამყვინთაო სამუშაოები უნდა შესრულდეს წინამდებარე წესების მოთხოვნათა შესაბამისად, მოყვანილია ცხრილში.

სახიფათო ზონების საზღვრები

ნაგებობა	დაშორება ნაგებობიდან მ, ბიეფებისათვის	
	ზედა	ქვედა
რაბები, კარების ხაზიდან	200	100
სატუმბი სადგურები, წყალმიმღები გისოსებიდან	100	100
ჰიდროსადგურები, წყლის მიღების ან გაშვების ხაზიდან	300	200
კაშხლები, კაშხლების ტანიდან	300	200
წყალსაგდებები და წყალსაშვებები, ღობურების გისოსებიდან	50	30
გადამღობი და ავარიული კარები, კარების ხაზიდან	40	40

4. სამყვინთაო ჩაშვებებისას ჰაერის უარყოფითი ტემპერატურების დროს (0°C -ზე ქვემოთ), აუცილებელია მიღებულ იქნეს სამყვინთაო აღჭურვილობის ჰაერგამანაწილებელი ფარების, შლანგების, შლანგური შეერთებების, სასუნთქი ავტომატების რედუქტორების, მოწამვლისაგან დაცვის და სასუნთქი სარქველების გაყინვის საწინააღმდეგო ზომები.

მუხლი 24. მიწის ჯებირებისა და კაშხლების შეკეთება

1. მექანიზირებული საშუალებებით მიწის ჯებირებისა და კაშხლების შეკეთება უნდა წარიმართოს სამუშაოთა



წარმოების პროექტის მიხედვით. მექანიზირებული და სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებით მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს უსაფრთხო მეთოდებით.

2. მიწის ჯებირებისა და კაშხლების სამშენებლო მანქანებით შეკეთებისას ისინი უნდა განთავსდნენ ჯებირებისა და კაშხლების ფერდობების კიდეზე, კაშხლის ფერდობის ჰორიზონტალური სიბრტყიდან მანქანის უახლოეს საყრდენამდე (ჰორიზონტალური მიმართულებით) დასაშვები მანძილის დაცვით, მ:

გრუნტი	ქვიშიანი და ხრეშიანი	ქვიშნარიანი	თიხნარიანი	თიხნარი	ტყის მშრალი
დაშორება ფერდობის სიმაღლის დროს, მ:					
1	1,5	1,25	1,0	1,0	1,0
2	3,0	2,4	2,0	1,5	2,0
3	4,0	3,6	3,25	1,75	2,5
4	5,0	4,4	4,0	3,0	3,0
5	6,0	5,3	4,74	3,5	3,5

ამ მანძილების დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში ფერდობი უნდა გამაგრდეს.

3. მიწის კაშხლებისა და ჯებირების ფერდობებზე მუშაობისას მიღებულ უნდა იქნეს აუცილებელი ზომები ფერდობიდან მომუშავეების ჩამოვარდნის ან დაცურების საწინააღმდეგოდ (პწკალების, დამცავი ქამრების გამოყენება და სხვა).

4. კაშხალზე ნაღვარევი (ნარეცხი) ზონები უნდა შემოიღოს. ნაღვარი ადგილების დათვალიერება შესაძლებელია დამატებითი უსაფრთხოების ზომების შემდეგ.

თავი VI

ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მომსახურება

მუხლი 25. ჰიდროაგრეგატები და დამხმარე მოწყობილობები

1. წნევის ქვეშე მყოფი მოწყობილობების შეკეთებისას, სარემონტო უბნიდან მოხსნილ უნდა იქნეს წნევა, ხოლო მოწყობილობა – სითხისგან დაცლილი.

2. მოსაბრუნებელ-ფრთიან ჰიდროტურბინაზე, რომელსაც არა აქვს სწრაფმვარდნი ჩამკეტი, მიერთებული გენერატორის როტორზე სარემონტო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია სარემონტო საკეტების ჩაშვების გარეშე, დამატებით უსაფრთხოების ზომების მიღების შემდეგ.

მუხლი 26. სადაწნეო მილსადენები

1. სადაწნეო მილსადენებზე სამუშაოები უნდა წარმოებდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღების შემდეგ.

2. 20 გრადუსზე მეტი დახრილობის მილსადენების შიგნით და გარეთ მუშაობისას გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური დამცავი ქამრები და დამზღვევი ბაგირები.



მეტალის მილსადენების შიგნით და გარეთ მუშაობისას მომუშავეები აღჭურვილნი უნდა იყვნენ დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით (ქეჩის საგებებით, სამხრეებითა და სამუხლებით და სხვ).

მუხლი 27. ჰიდროტექნიკური ნაგებობების ჩამკეტების მექანიზმები

1. ღერძები, გადამცემი ღვედები შკივებით და გადამცემი მექანიზმები (კბილანა თვლები, ჯაჭვით გადაცემები, ფრიქციული დისკები, ქუროები და სხვა) მათთან პერსონალის შესაძლო მიახლოების ადგილებში უნდა იყოს შემოღობილი და ჩამალული მყარად დამაგრებულ გარსაცმებში. გარსაცმების კონსტრუქცია საშუალებას უნდა იძლეოდეს მოწყობილობებზე დაკვირვებისათვის და მექანიზმების მოხერხებულად შეზეთვისათვის.
2. ფარების განყოფილების ღია ჭრილების პერიმეტრზე გათვალისწინებული უნდა იყოს საიმედო შემოღობვა.
3. შენობაში შესვლის ნებართვა, სადაც განთავსებულია მექანიზმები, განისაზღვრება ადგილობრივი ინსტრუქციებით.
4. მექანიზმების დათვალიერების, წმენდის და შეკეთებისას, მიღებული უნდა იყოს მოძრავი ნაწილების გადაადგილების შესაძლებლობის გამომრიცხავი ზომები (ძაბვის მოხსნა, საჩერების ან სატაცების ამოქმედება, მართვის გასაღებებზე ამკრძალავი პლაკატების (ნიშნების) გამოკიდება და სხვა).
5. საკეტების მექანიზმებს უნდა ჰქონდეთ ავტომატურად გაჩერების ბლოკირებისა და დაცვის მოწყობილობები, ასევე ელექტროამძრავის ჩართვის შეუძლებლობა ხელით ამძრავზე ან მექანიზმის საჩერზე დაყენების დროს.

